საიდ. №71573/03

IR 1151899

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №88-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. გიქორაშვილი (თავმჯდომარე), ი. მუღალაშვილი, ლ. კერესელიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ეგიშ დიოდისერდიარ ნიილვანოშან მიუკედე რესვეტარშაშაგ”-ის (EGIS GYOGYSZERGYÁR Nyilvánosan Működő Részvénytársaság) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №88-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 19 თებერვლის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №380/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „TRIPIL” (საიდ. №71573/03 IR 1151899) დაცვის მინიჭება საქართველოში მე-5 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანისათვის, განკუთვნილი გულ-სისხლძარღვთა სისტემის ან ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებებისათვის, ან გინეკოლოგიაში გამოსაყენებლად” (Human pharmaceutical

preparations for the treatment of cardiovascular or central nervous system diseases or for gynaecologic) (მე-5 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 19 თებერვლის №380/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული ნიშანი „TRIPIL" ჟღერადობით მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანია „ბიოფარმა”-ს (BIOFARMA) სახელზე რეგისტრირებული ლათინური ანბანით შესრულებული ნიშნებისა: „TRIPLION“ (რეგ. №895431, რეგ. თარიღი: 13/07/2006), „TRIPLIOR“ (რეგ. №964867, რეგ. თარიღი: 28/03/2008) და „TRIPLINOR“ (რეგ. №972225, რეგ. თარიღი:03/07/2008). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული ნიშნების საწყისი სიტყვიერი ნაწილი „TRIP” იდენტურია, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-5 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის, რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „ეგიშ დიოდისერდიარ ნიილვანოშან მიუკედე რესვეტარშაშაგ” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ის ფაქტი, რომ შესადარებელ ნიშნებში თანხვდება ნიშნების საწყისი ნაწილებში "TRIP" არ წარმოადგენს საკმარის არგუმენტს იმისათვის, რომ დაპირისპირებული ნიშნები მიჩნეულ იქნან აღრევამდე მსგავსად. ყველა დაპირისპირებულ ნიშანს გააჩნია დამატებითი ბგერები/ასოები, რომლებიც მნიშვნელოვნად ახანგრძლივებენ მათ ფონეტიკურად განცხადებულ ნიშანთან "TRIPIL" შედარებით. აპელანტის პოზიციით, განცხადებული ნიშანი შედგება ორი მარცვლისაგან, ხოლო დაპირისპირებული ნიშნები სამი

მარცვლისაგან. ამავე დროს, ფონეტიკურად და ასოთა წყობით მსგავსი არის მხოლოდ პირველი მარცვალი [TRI], რომელიც მეორდება განცხადებულ ნიშანში და ყველა დაპირისპირებულ ნიშნებში. დანარჩენი მარცვლები განსხვავდება როგორც ასოთა შემადგენლობით, ასევე მსგავსი ასოების განლაგებით ერთმანეთის მიმართ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ განცხადებული ნიშანი და დაპირისპირებული ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსნი ფონეტიკურად. დაპირისპირებული ნიშნები ასევე, განსხვავდება გრაფიკული კრიტერიუმით, ვინაიდან შედგებიან განსხვავებული გრაფემების (ასო) რაოდენობისაგან, რომლებიც განსხვავებულად არიან განლაგებულნი. განცხადებული ნიშნის "TRIPIL" და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ვიზუალური და სმენითი (ხმოვანი) აღქმისას პირველი შთაბეჭდილება, რომელიც შეექმნება მომხმარებელს იქნება განსხვავებული საერთო შთაბეჭდილება. განცხადებული ნიშანი "TRIPIL" განმცხადებლის, კომპანია „EGIS"-ის მიერ, გამოიყენება ფარმაცევტული პრეპარატების შეზღუდული სახეობისათვის, რომლებიც გამოიყენება მედიცინის განსაზღვრულ დარგებში, კერძოდ: გულ-სისხლძარღვთა სისტემის და ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებები, აგრეთვე გინეკოლოგიაში. აშკარაა, რომ მედიცინის აღნიშნული დარგები წარმოადგენენ ცალკეულ მიმართულებებს და ამ დარგებში გამოყენებულ სამკურნალო საშუალებებს გააჩნიათ სპეციფიური თვისებები. თავის მხრივ, ყველა დაპირისპირებული ნიშანი მოქმედებს მე-5-ე კლასის ზოგადი ტერმინების მიმართ რაც მიუთითებს იმას, რომ ამ ნიშნებით მარკირებულ საქონელს არ გააჩნია კონკრეტული თვისებები, რომლებიც მედიცინის რომელიმე სფეროსადმი მიკუთვნების საშუალებას შექმნიდა. განცხადებული ნიშნით მარკირებული პრეპარატები გაიცემა მხოლოდ ექიმის რეცეპტით. ამავე დროს, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებით მარკირებული პრეპარატები, რომლებსაც არ გააჩნიათ კონკრეტული სამედიცინო დანიშნულება, ალბათ გაიცემა რეცეპტის გარეშე. ზემოაღნიშნული განსხვავება საშუალებას იძლევა დარეგისტრირდეს განცხადებული სასაქონლო ნიშანი მე-5 კლასის შემდეგი შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ: "ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანისთვის,

განკუთვნილი გულ-სისხლძარღვთა სისტემის ან ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებებისათვის, ან გინეკოლოგიაში გამოსაყენებლად". აპელანტის მითითებით, სააპელაციო საჩივარს თან ერთვის ასევე, დაპირისპირებული სასაქონლო მფლობელი კომპანიის მიერ გაცემული თანხმობის წერილი, განცხადებული სასაქონლო ნიშნის დაცვასა და გამოყენებაზე საქართველოში. აპელანტის განმარტებით, კომპანია "EGIS"-ი წარმოადგენს ჯენერიკული სამკურნალო საშუალებების მოწინავე მწარმოებელს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. კომპანია აწარმოებს სამკურნალო საშუალებებს, რომლებიც გამოიყენება მედიცინის პრაქტიკულად ყველა სფეროში: ალერგოლოგია, უროლოგია, გინეკოლოგია, თერეპია, ნევროლოგია, ფსიქიატრია, გასტროენტეროლოგია, დერმატოლოგია, კარდიოლოგია. კომპანიის პროდუქცია კარგად არის ცნობილი მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში. აშკარაა, რომ ქართველი მომხმარებელი შეძლებს გაარჩიოს ერთმანეთისაგან პრეპარატები "TRIPIL" (№ 1151899), რომელსაც აწარმოებს მსოფლიოში ცნობილი კომპანია და პრეპარატებს, მარკირებულებს სასაქონლო ნიშნებით „TRIPLION", "TRIPLIOR", "TRIPLINOR", რომლებსაც აწარმოებს კომპანია „BIOFARMA", რომელიც არ არის იმდენად ცმობილი, როგორც კომპანია „EGIS"-ი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 19 თებერვლის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №380/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „TRIPIL" (საიდ. №71573/03 IR 1151899) დაცვის მინიჭებას საქართველოში მე-5 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანისათვის, განკუთვნილი გულ-სისხლძარღვთა სისტემის ან ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებებისათვის, ან გინეკოლოგიაში გამოსაყენებლად" (Human pharmaceutical preparations for the treatment of cardiovascular or central nervous system diseases or for gynaecologic).

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ

გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ მიუხედავად დაპირისპირებული ნიშნების მსგავსებისა ისინი საერთო შთაბეჭდილებით განსხვავდებიან, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით.

განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. განცხადებული ნიშანი შედგება ექვსი ასოსაგან, ხოლო დაპირისპირებული ნიშნებიდან ორი ნიშანი შედგება რვა, ხოლო ერთი ცხრა ასოსაგან. შესაბამისად, ვიზუალურად განცხადებული სასაქონლო ნიშანი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებისაგან განსხვავებით აღიქმება როგორც მოკლე ნიშანი. განცხადებული ნიშანი არის ასევე, ორმარცვლიანი, ხოლო დაპირისპირებული ნიშნები სამ მარცვლიანი. ასოთა წყობით მსგავსია მხოლოდ ნიშნების პირველი მარცვალი, რომელიც მეორდება განცხადებულ ნიშანში და სამივე დაპირისპირებულ ნიშნებში. დანარჩენი მარცვლები განსხვავდება, როგორც ასოთა შემადგენლობით, ასევე, ასოების განლაგებით. ამავდროულად მე-5 კლასში, ასოთაწყობა „TRIP"-ის შემცველი სასაქონლო ნიშნები დარეგისტრირებულია როგორც განცხადებული და დაპირისპირებული კომპანიების ასევე სხვა კომპანიების სახელზეც. შესაბამისად, აღნიშნულ ელემენტი ვერ ჩაითვლება ძლიერ ელემენტად ნიშნებს შორის განსხვავების დასადგენად. სრულიად განსხვავებულია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების დაბოლოება. კერძოდ განცხადებული სასაქონლო ნიშანი ბოლოვდება „IL" -ზე, მაშინ, როცა დაპირისპირებული

ნიშნები ბოლოვდება სრულიად განსხვავებულად, კერძოდ „ION”, “IOR”, “NOR”.

რაც შეეხება ფონეტიკურ მსგავსებას, ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული ნიშანი მთავრდება „ლ” თანხმოვანზე, ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოთქმისას მას ბოლოში ემატება „ი” ხმოვანი და ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის როგორც „ტრიპილი“ ხოლო დაპირისპირებული ნიშნები როგორც „ტრიპლიონი“, „ტრიპლიორი“ და „ტრიპლინორი“.

ამასთან, მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება ფარმაცევტულ პროდუქციას (მედიკამენტებს), რომლის შეძენისას მომხმარებელი განსაკუთრებულად ყურადღებიანია და როგორც წესი შეიძენს ექიმის დანიშნულებისა და რეცეპტის საფუძველზე, შესაბამისად სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის მიმართ არ მოხდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნისათვის „TRIPIL” (საიდ. №71573/03 IR 1151899) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ეგიშ დიოდისერდიარ ნიილვანოშან მიუკედე

რესვეტარშაშაგ”-ის (EGIS GYOGYSZERGYÁR Nyilvánosan Működő Részvénytársaság) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 19 თებერვლის №380/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „TRIPIL” (საიდ. №71573/03 IR 1151899) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ი. გიქორაშვილი
წევრები:	ლ. კერესელიძე
	ი. მუღალაშვილი